

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და სისტემა მიზნად ისახავს დასაქმებულთა ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების კუთხით ისეთი საფრთხეების როგორცაა ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების, უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და ჯანმრთელობის სხვაგვარი ზიანის მიყენების შემთხვევების მინიმალურ დონემდე დაყვანას.

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სფეროში ტრენინგებსა და პრაქტიკულ სწავლებებს თანამშრომლებისთვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

- იღებს პასუხისმგებლობას მასზედ რომ ჰქონდეს უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო სივრცე თანამშრომლებისთვის. ასევე იღებს პასუხისმგებლობას შექმნას უსაფრთხო გარემო ვიზიტორებისა და სტუდენტებისთვის,
- აყალიბებს სისტემას, რომელიც დასაქმებულსა და სხვა სამუშაო სივრცეში მყოფ პირს იცავს ჯანმრთელობის დაზიანებისა და პროფესიული დაავადებისაგან. ზემოთაღნიშნული სისტემა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის უსაფრთხოების და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.
- ატარებს გეგმიურ ინსტრუქტაჟს, რა უნდა მოიმოქმედონ დასაქმებულებმა, რათა საფრთხის შემცველი ფაქტორების არსებობისას მაქსიმალურად მოხდეს ზიანის მინიმალიზაცია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მმართველი რგოლი პასუხისმგებლობას იღებს :

- მონიტორინგს გაუწევს ყველა სამუშაოს, რათა დარწმუნდეს რომ პროცესი უსაფრთხოდ მიმდინარეობს;
- მოამარაგებს პერსონალს სამუშაოს პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინვენტარით, რომელიც საჭიროა სამუშაო პროცედურის უსაფრთხოდ შესასრულებლად;
- მოახდენს საშიში და უბედური შემთხვევების ჩანაწერების წარმოებას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;
- უზრუნველყოფს ყველა საჭირო სწავლებას, ინსტრუქტაჟის ჩატარებას და აწარმოებს შესაბამის ჟურნალს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დასაქმებული ვალდებულებას იღებს:

- დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების წესებს;

- სამუშაო პროცესში და დასრულების შემდეგ, დარწმუნდეს რომ საფრთხეში არ აღმოჩნდება თვითონ, სხვა პირი ან უნივერსიტეტის ქონება;
- დაესწროს დასაქმებლის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო შეხვედრებს და სწავლებას;
- მუდმივ მზადყოფნაში იყოს რეაგირებისთვის;
- არ შეასრულოს სამუშაო თუ ობიექტური/სუბიექტური მიზეზის გამო არ არის კომპეტენტური;
- არ შეცვალოს/შეამციროს სავალდებულო პროცედურები უსაფრთხოების საკითხებში;
- დეტალურად მიჰყევს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების ინსტრუქციას თვითნებური გადახვევების გარეშე.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს :

- საფრთხეების იდენტიფიცირებას;
- რისკების შეფასებას;
- პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;
- სწავლება-ინსტრუქტაჟის ჩატარებას შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- მუდმივ მონიტორინგს შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართულად მუშაობაზე.

დასაქმებული პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია პოლიტიკის იმ ასპექტების განხორციელებაზე, რომლებიც შედის მისი კომპეტენციის ფარგლებში. შესრულება გადამოწმდება რეგულარულად, არსებული შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა აყალიბებს სამუშაო სივრცეში, სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პროცედურებს, რის შედეგადაც, ხდება საწარმოო გარემოსგან შესაძლო უარყოფითი ასპექტებისგან მაქსიმალურად დაცვა.

არსებული სისტემა მიზნად ისახავს გახადოს სამუშაო ადგილი და სამუშაო სივრცე უსაფრთხო. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი დასაქმებულების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.